

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 4

ქ. თბილისი
26 ივნისი, 2020 წ.

ესწრებოდნენ:

ნინო ციციშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

მოქალაქე ბაკურ კილურაძის საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნინო ციციშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე ბაკურ კილურაძის საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2020 წლის 29 მაისს, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს. კერძოდ, საქართველოს მმართველი პარტია „ქართული ოცნებისთვის“ განხორციელებული შემოწირულობების საკითხს.

ეთერში გასულმა სიუჟეტებმა, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, შექმნა წარმოდგენა, რომ მისი გათავისუფლება სამართლებრივი თვალსაზრისით რაიმე კავშირშია მმართველ პარტიასთან და მის პოლიტიკურ ხედვებთან.

საჩივარი გამოგზავნილია 2020 წლის 02 ივნისს ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები:

აღნიშნული სიუჟეტის ფარგლებში, „რადიო თავისუფლების“ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა ინფორმაციის გაშუქება პარტია „ქართული ოცნების“ შემოწირვლების შესახებ. სიუჟეტის მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის 17 თებერვლიდან 15 მაისამდე 2 მილიონ ლარზე მეტის შემოწირულება მიიღო. შემოწირველს შორის არიან ისეთები, ვინც მმართველი პარტიისთვის პირველად გაიღო ფულადი რესურსი, ისეთები, ვინც უკვე წლებია მას სოლიდურ თანხებს სწირავს და ისეთებიც, ვინც წლების წინ სხვა მმართველ პარტიას სწირავდა და ახლა „ქართულ ოცნებას“ სწირავს. „საქართველოს საარჩევნო კოდექსითა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და შემოწმება მკაცრ რეგულაციებს ექვემდებარება, იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იყოს პარტიების დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობა. საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ ვის მიერ ხდება მმართველი პარტიის დაფინანსება. მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა, გამომდინარეობს დემოკრატიის არსიდან. პოლიტიკური პარტიის შემოწირვლებზე სიუჟეტის მომზადება სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურება, საზოგადოებას აინტერესებს, როგორც შემოწირველთა ვინაობა ასევე მათი საქმიანობა.

საჩივრის ავტორის მთავარი მითითება უშუალოდ მის პიროვნებასთან დაკავშირებულ განცხადებებს ეხება, საჩივარში ხაზია გასმული წამყვანის შემდეგ ფრაზაზე: „რუსეთის

ჯამუშობისთვის გასამართლებულ პირის პირველი განმარტება, რატომ შესწირა ქართულ ოცნებას ბაკურ კილურაძემ ორმოცდაათი ათასი ლარი. დაკავებული და შემდეგ გათავისუფლებული პირი ამბობს, რომ მისი ციხიდან გამოშვება ოცნების დამსახურებაა, ის პარტიის მხარდამჭერია და რომ ჰქონდეს უფრო მეტსაც შესწირავდა“.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს სწორედ დავის საგანს. მოქალაქე ბაკურ კილურაძე მიიჩნევს, რომ ამ განცხადების საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ „თითქოსდა ცრუ წინასწარ ბოროტი განზრახვით შეთხზული ბრალდებისგან გათავისუფლება სამართლებრივი თვალსაზრისით რაიმე კავშირშია მმართველ პარტიასთან.“

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეაჯამეს სიუჟეტის მასალები: საჩივრის ავტორი ინტერვიუში თავადვე უთითებს, „თუ დღეს თავისუფალი ვარ, ეს ქართული ოცნების დამსახურებაა“. ცალსახაა, რომ თავადვე უკავშირებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს მმართველ პარტიასა და პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას, აღნიშნულს ის თავად ამბობს და ადგილი არ აქვს ჟურნალისტის მიერ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე ქარწყლდება დავის საგანი ამ ნაწილში. სამოქალაქო პირის მიერ მსგავსი სახის განცხადებების გაკეთება არ წარმოადგენს რაიმე სახის დარღვევას და დაცულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით.

მედიასაშუალებების მთავარი მიზანია მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება, იმისთვის რომ არსებობდეს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა იმ ინფორმაციაზეც, რომელიც პირდაპირ და საჯაროდ არ ჩანს, არამედ გამომდინარეობს სხვადასხვა მასალების შეჯერების საფუძველზე, იმისთვის რომ შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. სწორედ ამაში გამოიხატება სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვა, სწორედ ეს უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაა.

ასევე, რაც შეეხება საჩივარში მითითებულ გარემოებას სატელეფონო ზარის შესახებ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მსგავსს ზარს გადაცემამდე ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ არ დარღვეულა მაუწყებელთა შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები. ტელეკომპანია პირველს საჯაროდ აქვს გაცხადებული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების განუხრელად დაცვა და პატივისცემა მის სარედაქციო პოლიტიკაში.

თვითრეგულირების კომისია ასკვნის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მოქალაქე ბაკურ კილურაძის მოთხოვნა, ვინაიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონიდა და ჟურნალისტები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში.

ნინო ციციშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე